განკარგულება:**g-37. 372324210**
თარიღი:**30/08/2023**

განკარგულება N49

30 აგვისტო 2023 წელი

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე და 26-ე მუხლების თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მატერიალური ფასეულობები, კერძოდ 55 $მ^2$ მეორადი ორნამენტული ფილის (საბალანსო ღირებულებით - 275 (ორას სამოცდათხუთმეტი) ლარი) უსასყიდლო სარგებლობაში, პირდაპირი განკარგვის წესით, იურიდიული პირის არსებობის ვადით, სსიპ - აკაკი სურგულაძის სახელობის სოფ. შემოქმედის საჯარო სკოლისთვის გადასაცემად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14).

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი